6.

სალომე კურტანიძე
სკრის საჯარო
სკოლა

6. ბავშვის უფლებას, მისი ჯანმრთელობა უმაღლესი სტანდარტით იყოს დაცული. სახელმწიფო ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზებასა და დაცვას ახორციელებს ბავშვისთვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სერვისებისა და დაწესებულებების ხელმისაწვდომობას, აგრეთვე უვნებელი გარემოს უზრუნველყოფით მავნე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვა გულისხმობს ბავშვის სოციალური გარემოს უარყოფითი ფაქტორებისა და ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან დაცვას შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნისა და სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების საფუძველზე.

- ბავშვი მისი პიროვნების და ჰარმონიული განვითარებისათვის უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების სიყვარულის და გაგების ატმოსფეროში.
- ბავშვი მისი ფიზიკური და გონებრივი სიმწიფის გამო საჭიროებს სპეციალურ დაცვას და ზრუნვას, მათ შორის სათანადო სამართლებრივ დაცვას როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ.
- ყველა ბავშვმა უნდა მიიღოს ხარისხიანი და ინკლუზიური განათლება.
- სახელმწიფო უზრუნველყოფს ხელი შეუწყოს განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების სკოლაში დაბრუნებას.

- ბავშვის უფლებაა ისარგებლოს ჯანდაცვის უმაღლესი სტანდარტით, რისთვისაც სახელმწიფო ახორციელებს ყველა საჭირო ღონისძიებებს.
- ბავშვი დაცული უნდა იყოს მავნე ნივთიერებების მოხმარებისაგან, აგრეთვე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, საფრთხის შემცველი ინფორმაციის გავლენისაგან.
- გორის მუნიციპალიტეტის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყობს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სერვისების განვითრებას და ხელმისაწვდომობას.
- გორის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება არის მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერრის სისტემის მართვის მიზნით შექმნილი სტრუქტურული ერთეული.
- ბავშვის დაცვისა მხარდაჭერის სისტემა ეფუძნება საფრთხის პრევენციისა და ადრეული დახმარების პრინციპს
- განყოფილება უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სერვისების ხელმისაწვდომობას უშუალოდ და სატელეფონო მომსახურების სახით.
- თუ თვლით, რომ ოჯახში ირღვევა ბავშვის უფლება, ბავშვსა და მის ოჯახს ესაჭიროება დახმარება და პრევენციული ღონისძიებების გატარება, გთხოვთ, მიმართოთ გორის მუნიციპალიტეტის ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებას.

საინფორმაციო მასალაში გამოყენებული ილუსტრაციების ავტორები არიან, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მიერ გამოცხადებული ნახატების კონკურსის გამარჯვებული მონაწილეები.

საინფორმაციო ბროშურა მომზადებულია ბავშვის უფლებათა კოდექსის და ბავშთა უფლებათა კონვენციის მიხედვით, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მიერ.

გორის მუნიციპალიტეტის მერია

თვლით, რომ ირღვევა ოჯახში ბავშვის უფლება და საჭიროებს მხარდაჭერას?

მიმართეთ ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებას

+995 599 30 04 24; 0370 27 00 03

გორი, გრიგოლ ფერაძის 5
ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით
09:00 - 18:00 სთ

info@gori.gov.ge

სოფო მარიამიძე
ბერბუკის საჯარო სკოლა

1.

2.

გიორგი მარიამიძე
ბერბუკის საჯარო სკოლა

მარიამ კახნიაშვილი
მე-7 საჯარო სკოლა

4.

1. ბავშვის უპირატესი უფლებაა ცხოვრობდეს ოჯახში, სადაც შექმნილია პირობები მისი კეთილდღეობითვის და ჰარმონიული აღზრდა განვითარებისთვის. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს აქვს ოჯახში ცხოვრების ისეთივე უფლება, როგორიც სხვა ბავშვს. როგორც მშობელი, ასევე ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირი ვალდებულია პატივი სცეს ბავშვის პიროვნებას, აღზარდოს ბავშვი მშვიდობის, ადამიანის უფლებების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თანასწორობისა და სოლიდარობის პრინციპებით. იზრუნოს მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისთვის, მოამზადოს ბავშვი საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.

2. ბავშვის უფლებაა მიიღოს ხარისხიანი განათლება. განათლების მხარდაჭერის პროგრამების განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის მიმართ და ბავშვებს შორის ძალადობის, ბავშვთა შორის ჩაგვრის და ბავშვთა შორის კანონიერი ინტერესების უგულებელ-ყოფის აღმოფხვრას. საგანმაბათლებლო დაწესებულებებში უნდა დაინერგოს ბავშვის მიმართ და ბავშვებს შორის ძალადობის, ჩაგვრის, პრევენციის სათანადო რეაგირების პროგრამები და მექანიზმები.

3. დაუშვებელია ბავშვის წამება, მისადმი სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა სასჯელის გამოყენება ბავშვის სოციალური ინკლუზიის პროგრამა ითვალისწინებს თანასწორი მოპყრობის საფუძველზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველა ბავშვის თანაბარი მონაწილეობის მხარდაჭერას, მათ შორის: საგანმანათლებლო, საინფორმაციო, სპორტული და პროფესიული ორიენტაციის ღონისძიებებით. სოციალური ინკლუზიის მიზანია. აღიაროს რომ ყველა ბავშვი ღირებული და მნიშვნელოვანია, ყველა ბავშვისთვის უზრუნველყოს თანაბარი ხელმისაწვდომობა, შესაძლებლობა და მონაწილეობის უფლება უთანასწორო მოპყრობისა და ბარიერების გარეშე.

3.

ლიზი
შიუკაშვილი
ქვ. სობისის
საჯარო სკოლა

4. ყველა ბავშვს აქვს უფლება თავისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში. ბავშვი უნდა ცხოვრობდეს უსაფრთხო, მათზე მორგებულ და ადაპტირებულ გარემოში.

5. აკრძალულია ბავშვისთვის ალკოჰოლური, ნაკროტიკული, ფსიქოტროპული,ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებების, ალკოჰოლიანი სასმლის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმის ან კაფსულის უსასყიდლო ან სასყიდლიანი მიწოდება, გარდა ბავშვის მიერ ნარკოტიკული და ფსიქოტრო-პული საშუალებების ექიმის დანიშნულებით მიღების შემთხვევებისა.



მარიამ ჯანეზაშვილი
ქვახვრელის
საჯარო სკოლა

5.